ფასი 10 კ.
17 ივლისი 1930 წ.

# ეშმაკი

№ 31 (265)

12 572

— ვიშ, რა მშვენიერია სოფელი, ანდამატივით გიზიდავს თვისკენ!

(იხ. №-16 ჟ.).

# „ბედნიერი მონა-მორჩილი“

ბესარიონს პასუხისმგებელი თანამდებობა ეკავა.

ის სრული ნდობით იყო აღჭურვილი პარტიისა და ხელისუფლების მიერ. ბესარიონ პარტიის ძველი წევრი იყო.

თქვენ ეს ყოველივე გიკვირთ და მეკითხებით:

— განა ეს ის ბესარიონია, რომელიც 905 წლის რევოლიუციაში იღებდა მონაწილეობას?

დიახ ის ბესარიონია, რომელიც დაჭრილიც იყო და გადასახლებული მაშინ...

მართალია, ჩვენი პარტიის ერთი ბელადთაგანი თავის მოგონებებში გაკვრით იხსენიებს მას, პირიქით, ერთ წერილში იმასაც კი ამბობს, რომ ბესარიონ გადამწყვეტ მომენტებში განზე დგებოდა და აქტივობას არ იჩენდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მის წარსულ რევოლიუციონერობას არავინ უარყოფს. ბესარიონზე არა ნაკლები, თუ მეტი არა, რევოლიუციონური წარსული აქვს მის ყოფილ ცოლს ამხ. თეოს, რომელსაც პარტიაში მეტ სახელად „მაშხალას“ ეძახოდენ, ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, თითქოს ბესარიონის რევოლიუციონერად გახდომა თეოს მეოხებით ყოფილიყოს. როცა ბესარიონ ციმბირში გადასახლეს, თეომ ფიცი მისცა მისთვის და საერთო საქმისთვის ერთგული ამხანაგი დარჩენილიყო. და ეს ფიცი მან პირნათლად შეასრულა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ამხანაგი თეო „წელზე ფეხს იდგამდა“, ბავშვებს ზრდიდა და გადასახლებულ მეგობარსაც მატერიალურ დახმარებას უწევდა.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ ბესო საქართველოში დააბრუნა.

1921 წლის თებერვლის რევოლიუციამ კი მას ჩააბარა პასუხსაგები საქმე და მიანდო სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღება.

ბესო. და თეო სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობდენ. ბესო სამეურნეო დაწესებულებაში, თეო კი პარტიის ხაზით. თეო ერთ-ერთ თვალსაჩინო მუშაკათ ითვლებოდა მშრომელ ქალთა ორგანიზაციის საქმეში, რის გამო ხშირად უხდებოდა პროვინციაში მგზავრობა.

— რას გავხარ, თეო? ვერ ხედავ, როგორ გაძვალტყავდი? შენ აღბად ექიმობა გჭირდება. — ეუბნებოდენ მას, მაგრამ თეო ყურადღებასაც არ აქცევდა მათ და განაგრძობდა თავდადებულ მუშაობას.

ბესო ხშირად გადაყავდათ ერთიდან მეორე დაწესებულებაში. ეს გარემოება გამოწვეული იყო მით, რომ არც ერთი საქმე, რომელსაც მას აბარებდენ, არ ხეირობდა, რის მიზეზათ ბესო ყოველთვის ობიექტიურ პირობებს ასახელებდა.

პარტიის წმენდამ „მზის შუქი“ მოჰფინა ბესოს პიროვნებას და გამოამჟღავნა მისი შინაგანი ბუნება!

აღმოჩნდა:

**ბესო — პროტექციონისტი**
**ბესო — ბიუროკრატი,**
**ბესო — მემარჯვენე,**
**ბესო — „ბედნიერების“ მაძიებელი.**

გამწმენდ კომისიაში საკმაო მასალები იყო დაგროვებული იმის შესახებ, რომ ბესოს კომუნისტობის არაფერი ეკბო, რომ ბესო წარმოადგენდა გადაგვარების იშვიათ ეკზემპლიარს. წმენდის დროს წაკითხულ იქნა მისი ორი წერილი.

პირველ წერილში ბესო „გულახდილობით“ სთხოვდა თეოს „მეგობრულად“ დაშორებულიყვენ ერთმანეთს.

„დაივიწყე წარსული“.

— სწერდა ის, — მე შევიყვარე „მზის უნახავი“ ქალი, რომლითაც მოხიბლული ვარო...

მეორე წერილში ბესო „ციურ ანგელოზათ“ სახავდა ვინმე მარგალიტას.

— შენ ხარ ჩემი ბედნიერება, — სწერდა ის მას და წერილს ასე ათავებდა:

— „ჩემო ღმერთავ, შენი ვარ და მუდამ ვიქნები შენი მონა-მორჩილი!

კომისიის თავმჯდომარემ ასე მიმართა ბესოს:

— თქვენისთანა „ბედნიერები“ ჩვენს პარტიას არა ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს.

ბესო პარტიის გარეშე იქნა დატოვებული.

**ყუმბარა.**

## ბავშმა გასცა



— მამილო, ვილაც ძია მოდის აქეთ!
— სსს... ეს არ სთქვა. ის ძია კი არა, შენი მამაა,—მე კი შენი ძია ვარ, მაშ კრინტი... ენა ჩაიგდე მუცელში... რას ტანტალებ! (ტუქსავს).

# კულტმუშაობა

(ძუთაისი)—

— დათიკოჯან, თუ გიყვარდე იმისთანა კინოი სურათი ამომირჩიე, რომელშიაც პატი და პატაშონი მონაწილეობდენ! — სთხოვდენ ქუთაისის შუშათა კლუბის მესვეურნი სახკინმრეწვის გასყოფილების გამგეს.

კანტორაში ერთი ეაი-უშველებელი იყო გამარჯული.

კი, მაგრამ შე ულმერთო, შენ დღეს კლუბში ლექცია გაქვს დანიშნული და მე რეიზა შედავები, შე კაცო? — ნაღვლიანი კილოთი მიმართა ერთმა მეორეს.

— ხომ არ შეიშალე, კაცო შენ! მოგცლია ერთი. რის ლექცია. რას დისპუტი. ხომ იცი რაშია საქმე?—და ხელის სალოკ თითზე იატაკის საწმენდ ჩოთქივით გაუსვა ცერა.

— გუშინ საღამო-წარმოდგენა როგორც იყო ჩავატარე!— შამლაყინწასავით გამოიჯიმა წინ ერთ-ერთი მათგანი.

— დიდებული საღამო იყო მამიჩემის სულს გეფიცები. ისემც აგიშენდა ოჯახი. ეს ტრაღედიები მაინც სად გამონახე, შე კაცო. „შეშინებული ანთიმოზი“, „სოსიას ღელე“.., დაგიშვენდა ცხვირი, მერე კიდევ...

— კაი, ერთი, ნუ აუშვი გრამაფონი. აბა შენა კლუბის საღამო სჯობდა შენმა თავის გახეთქამ: „სულიკოს საფლავი“, „კოცნა-კოცნა“ და ათასი ხლამი.

— კულტმუშაობაში ქე ჩამეთვლება და მეტი რა მენაღვლება!

— ჰო-და, თუ ძმა ხარ, შენც სუ და მეც სუ!

შაკო.

# ნერილი გასხვაროდან

სასადილოს მივაშურე, რიგი იყო გრძელი;
აქაც თურმე საჭირო ნაცნობობა ძველი;
ესე იგი, პროტექციას იქაც აქვს ადგილი,
მის გარეშე ვეღარ სჭამო აქ დროზე სადილი.

—:—

აქ დღეს კერძო ვაჭრუკანებს ჩაუვარდით ხელში,
სამ-სამ მანეთს ღებულობენ ერთ გირვანქა ყველში.

—:—

აქ ექიმიც ავადმყოფებს აცლის ხოლმე სიქას,
მასთან მისულს გასაშინჯათ მთლად დაუცლის ქისას

—:—

სისუფთავეც გახდა ჩვენთვის აქ დღეს უცხო ხილი,
ქუჩებს ერთხელ ვერა ნახავ, რომ იყვეს დაგვილი.

ლანდელი.



— უი, ჭა, როგორ წახდა დროება! წინედ მზეთუნახავები იზრდებოდენ, — ეხლა კი—მზეზე იწვებიან — გავშავდეო!

— ციცი, რა გაქვს?
— ჩაი..
— როგორ! ჩაი და ციცი?!
რა გიკვირს თუ ნახაშირი არ არის ბაიც ციცი იქნება!

— ? —

— გამიხსენი ციცი ბორჯომი.
— არ გაძლ ავთ...
— მაშ ციცი რა გაქვს?
— ცივ ტყემალში და ნიორწყალში ამოვლებული კარგად შებრაწული ვარია.

— ? —

—თბილი რძე გაქვთ?
— არა.
— ჩაი.
— არც ჩაი.
— მაშ რა გაქვთ?
— წითელი ღვინო.
— შე კაცო, პაპანაქება სიცხეში და თბილი ღვინო.

ზოლტი.

## ტანთსაცმელი

ფინედ და ეხლა

## არ მსურს ტელასი, ვიჯდე ბნელაში!

მე ისევ მიწევს წერა ტელასზე, რადგან ტელასი
ბიუროკრატია ბუდეა თურმე მეტად ყველასი!
არა მსურს ვიყვე ლიტონ სიტყვით და არ ფაქტებით,
თუმც ყველას მოთელა რომ ინდომოთ, თქვენ რას
გახდებით!

ვიღებ ერთ მათგანს სანიმუშოდ, სამაგალითოდ,
ათასში ერთი რომ ამხილოთ, რა უშავს ბითომ?
თქვენ ის მითხარით, თუ ათასი ერთად ამხილეთ
და ამგვარ აქტით მთელი დარგი თქვენ გაუწბილეთ,
თორემ ერთ ფაქტზე აშენება რამე ბრალდების
ამ ქვეყნად თაფლად და იმ ქვეყნად სანთლად
დადნობის!

ეს ყველამ იცის, რომ განაგებს ელშუჭს ტელასი,
თუმც ზოგჯერ ამ შუჭს შენ ირჩევ, რომ იჯდე
ბნელაში,

ოლონდ გარდამეტ შეწუხებას, ორევას და წოწვას
ასცდე რამეფრად, დიახ, ირჩევ ზოგ ბნელში ცოცვას,
და ემიჯნები შუჭს, სინათლეს, კაცს ტელასიდან,
თვეში რომ ერთხელ მოგადგება კარს ბელასინად,
გამოსწერს თანხას გადასახდელს ამა თვის შუჭში;
შენ კი რა იცი, თუ რა ქაჯი უზის მას შუბლში,
და, მაგალითად, რად არ ჰასწერს წარსულ თვის
ცნობას?!.

შენ ხომ მიეცი შუჭის ფასი? ვალდებულთ გრძნობას
მიჰყე ფეხ და ფეხ, არ გამოწყდი კაცი მასაში
და შეიტანე „დოკუმენტად“ ფული კასაში!
ახლა ნეორე თვის ხვედრ ფულით, ვით ვალდებული,
იწევთ იმავ გზით და ალალი მიგიხტისთ გული,
რადგან თქვენ სცდილობთ, რომ პირნათლად აქ
გამოხვიდეთ:

ისინი სწერდენ ბარათში ფულს, თქვენ კი იხდიდეთ!..
და აი, შესდგა საღაროს წინ თქვენი პერსონა!
თქვენც თუ უკვე ხმას აქ გაადრებდენ, ეს ვის ეგონა?

პირნათლად ვალის გასტუმრება, სჩანს, რომ გწადია,
და რომ ამ ბიზნით აქ მოხვედი, ესეც ცხადია!
მხოლოთ მოლარე ყველა ამას დაგიდევს რათა,
როცა ბარათში იმ თვის ცნობა თქვენ არ გაქვთ მზათა?
თქვენ გადიხადეთ იმ თვის ფული, ისესტით ჭკუით,
მაგრამ აქ ცნობა რომ არა გაქვთ, „ზნაჩიტ: თქვენ
სტყუით!

ენდა მიმართოთ თქვენ ცნობათა აქვე მაგიდას
და ის ცნობარში, ჯერ თუ არ ხართ, ახლა ჩაგიტანსთ.
მანამ კი ფულს მე მიღების არ მაქვს უფლება!
აი, წესები თქვენ ტელასის ნუხლებ-მუხლებათ!“..
— მიიღეთ ფული!
— „ვერ მივიღებ!“
მიიღეთ!
—„ვერა“!.

ცნობა ბარათში უნდა იყვეს, ეს თქვენაც გჯერა!
რომ გადიხადეთ იმ თვის ფული, თქვენ ესეც იცით!
მაგრამ ამ წუთში სდგეხართ აქ და ორ ციცხლში
იწვით:

არ მისცემ ფულს და, არ აიღებს იმას კასირი,
შუჭს მიგიჭრიან, თავს დაგესხმის ღამე თახსირი!
არა და... ცნობა... ოხ, ეს ცნობა!.. დარდი აქიდან..
მიდი ერთი და შენ ცნობათა, სინჯე მაგიდა!

ხომ დაგისივდა იქ მუხლები ცნობის ლოდინში?
საღამოს მიხვალ შინ და უნდა ჩაწვე ლოგინში:
რათ გინდა შუჭი, ან სინათლე, ანუ ჭაღები?
თავს დაგადგება, ძილთან, ღამის რკინის წაღები!
ჩადგება შხამი მთელს ძარღვებში, წაიღებს გულსა!..
ახია თქვენზე! რათ იხდით ვალს? რად აძლევთ ფულსა,
ვისაც დაჭზარდა შენს ბარათში ციფრის ჩასვეტვა?!.
ოხ, ეს ტელასი ამ ტანჯვისთვის დაარსდა. ნეტა?!..

ბაზირა.

# ვერის „საგანაო“



პირვ. ლოკრი: — ვის-ღას ველოდებით, ჩავიდეთ, ვიბანაოთ!

მეორე ლოკრი:—აწი-და მანდ რომ არ ამოვისვაროთ ტალახში, წავიდეთ საბურთალოზე და იქ დავგრილდეთ სადმე ნაგუბარში.

# დაუპატიჟებელი სტუმარი

ხინკალტრესტის დარეკტორი გიორგი ტყლაპაძე მეტის - მეტად მსუქანი ვაჟკაცი იყო, ქუჩაში ძლივს ჰიგორავდა ისე იყო ჩარგვალებული მისი მუცლის მოყვანილობა, ხომ ათ ფუთიან გოდორს მოგაგონებდათ. იცხეს სრულებით ვერ იტანდა, დაიწყებოდა თუ არა მაისი, ოფლი ნიაღვარივით დაუწყებდა დენას და ამ დროს რომ მისთვის შეგეხედათ, გული დაგეხუთებოდათ, ისეთი საცოდავი სანახავი იყო. ამატომ ყოველ წელიწადს მაისის გასულს ის აიკრეფდა ბარგს და თავის ცოლშვილით მადიოდა ან ზღვის პირად, ან კისლოვოდსკში, ან სადმე მაღალ ადგილზე და იქ ატარებდა დროს. თვითონაც კმაყოფილი იყო და მისი ოჯახიც.

—:—

წელს ისეთი სიცხე დაიჭირა, რომ ასეთი სიცხე ტფილისს არ ახსოვს. წესით გიორგი ეხლა ტფილისიდან გასული უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჭოი საკვირველებავ, მან გადასწყვიტა ამ საშინელი ზაფხულის ტფილისში გატარება.

— რამ აიძულა ასეთი საშინელი გადაწყვეტილება მიეღო გიორგის?— იკითხავს მკითხველი.

ამაზე ქვემოდ მოგახსენებთ.

— წამოდი, შენი ჭირიმე, ჩემო გიორგი, უშენოდ იქ ვერ მოვისვენებთ, როგორ უნდა გასძლო ამ საშინელ სიცხეში. წამოდი, — ემუდარებოდა ცოლი.

— რა ვქნა, ჩემო ნინა, ვიცი რომ გამიჭირდება, მაგრამ საქმეები ნებას არ ბაძლევს. ხომ იცი ხუთწლიან გეგმას ოთხწლედში უნდა შესრულება. ამიტომ, თუ ჩვენ აგარაკზე ვიარეთ და მკერდით არ მივაწექით საქმეს, არაფერი გამოვა. წადით თქვენ, მე ვიცდები, რომ ორი კვირით ბანც წამოვიდე, ესეც მეყოფა.

თვალცრემლიანი ცოლი და შვილი ჩასვა გიორგიმ მატარებელში და ხვევნა - კოცნით გაისტუმრა.

—:—

გიორგი შეყვარებული იყო.

მას უყვარდა ახალგაზრდა, ლამაზი სოფო, დნებოდა მისი სიყვარულით, დღე და ღამ მასზე ოცნებობდა.

აგარაკზე ნინა სულ გიორგიზე ფიქრობდა. იმდენი იფიქრა, რომ ბოლოს ეჭვი დაებადა და მოსვენებას არ აძლევდა. ნინა თითქმის დარწმუნდა, რომ გიორგი ღალატობდა.

დადგა სანეტარო დრო. გიორგიმ სოფოსთან სიარულს მოუხშირა. თით ქმის მთელ დღეებს ერთად ატარებდენ.

ერთ მშვენიერ საღამოს გიორგიმ სოფო სახლში მიიპატიჟა. სოფო უარს როგორ ეტყოდა, გიორგი ხომ მისი უფროსი იყო სამსახურში და მთელი მისი ბედიღბალი მასზე ეკიდა. გიორგიმ მშვენიერი ვახშამი მოამზადა. დანაშნულ დროზე სოფო მოვიდა.

კარები ჩაკეტეს, მოუსხდენ სუფრას და ტკბილი მასლაათი გააბეს. გიორგი არხეინად იყო, ცოლი აგარაკიდან ვერ გადმოფრინდება და სხვა ვერავინ დაურღვევდა სანეტარო დროს ტარებას. საზოგადოდ, გიორგი მეტად შშაგი იყო სიყვარულში.

მოისმა კარების ძლიერი ბრახუნი. გიორგი კარებთან მივარდა, ერთ წამს ჩაფიქრდა, მაგრამ თავი გაიქნია და კარები გააღო.

კარებში მისი ცოლი ნინა იდგა. ცოლმა ხელი ჭკრა შიშისაგან ჰირდაღებულ გიორგის და ჭორავით სოფოსკენ გადაფრინდა.

**მაბათი.**

# მ ი წ ე რ - მ ო წ ე რ ა

## ᲫᲛᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

რა მოგშორდი, ჩემო კარგო,
შავი ფიქრი გულს ნიბურავს.
სევდისაგან ვერაფერს ვქმ,
ვერ ვსვამ ვერც ლუდს და ვერც
ბურახს.

პირი როგორ გამიხმება,
როგორ ვიტყვი შენს სამდურავს,
ვახ, თუ გშია, ან გწყურია,
ან გცივა და არა გხურავს.
ვახ, თუ შენსა ცისფერ თვალებს
კავალერი ეშხით უმზერს.
და მე კი აქ უპატრონო
შენი დარდით ვყლაპავ ბუზებს!
ვახ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა
ვილაც კაცი ხელს უსვამდეს,
შენი ქმარი კი საწყალი
დღედღამე ცხელ წყალს სვამდეს.
ვახ, თუ შენსა ქორფა მკლავებს
კავალრები ხელს ეყრიდეს;
შენი ქმარი კი საწყალი
საქმეებზე ცრემლს ღვრიდეს.
ვახ, თუ სისხლით ნაშოვნ ფულებს
ბოულვარ-პარკში ოხრად ხარჯავ,
და მე კი აქ უფულობით
პაპიროსის ნამწვებს ვქაჩავ.
ვახ, თუ ვილაც უცხო ვაჟთან
ერთად ჰაერზე ტკბილად ბძინავს,
შენი ქმარი კი ტფილისში
ცხელ ფიცარზე სწუხს და გმინავს.
ვაი, თუ ჩემს ულამაზესებს
დროს ტარებით გული ეწვის,
შენი ქმარი უბედური
ბაღლინჯოთა ხროვას ებრძვის.

## ᲪᲝᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ჩემი ქმარი მისთვის მიყვარს,
რომ ქმარია, მეგობარი.
და მისთვის მსურს მისა ხილვა
მასთან ტკბილი საუბარი.
რა მოგშორდი, ქმარო, შემდეგ
ვარედ ფეხი არ გამიდგამს.
შენზე ვტირი დღედღამე
და ვასველებ ჩემს მაგიდას.
როცა ვინმე მომეხვევა,
წამსვე შენს კლავს გავიხსენებ;
მოზღვავებულ გრძნობებიდან
მისვე მკლავზე დავისვენებ.
როცა პარკში მარტო შევალ
შენთან ყოფნას გავიხსენებ;
დარდისგან ფულებს ვიარჯავ
სხვანაირად ვერ ვისვენებ.
როცა ჩემს ხელს, თუ სხვა რამეს,
კავალერი ვნებით კოცნის,
წამსვე შენი მოგონება
სიყვარულის ისარს მტყორცნის.
და ამგვარად მიმწარდება;
საკურორტო შვების ჟამი;
აქ ყოველი გულში მხვდება,
როგორც გველის მწარე შხამი.
და ამგვარად, რომ არ მოვკვდე
სევდამ გული რომ არ დახრას, —
გეფიდრები — მომაწოდო
გასართობათ მეტი თანხა.
და თუ აღარ მომაწოდებ,—
ალბად სევდა გამაგიჟებს,
გადავყვები საქეიფოდ
ჩარლსტონიან კოხტა ბაქებს.

ცხვირგატეხილი.

**ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ** (საიქიოდან): — აფსუს! ბორჯომში ჩემს სასახლეში მუშები სცხოვრობენ!

# ᲛᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ ᲗᲔᲑᲠᲝᲜᲘᲐᲛ

მოგახსენებთ, რომე კაი თუთხმეტი წელიწადი დავარგვალეთ მე და თებრონიან, რაც გვარგიანი [illegible] და არ ყოფილა ისეთი შემთხვევა — ერთმანეთისათვის გვეწყინებოს; ჭე ვცხოვრობდით გუგულებივით; სადარ დებელი არაფერი არ გვქონდა, ვარდა ერთისა. ეს ის რომ არ იქნა და შვილი არ მოგვეცა. მაკადინობა იკოცხლეთ ჩვენ არ დაგვეკლოს, მარა მაინც არაფერი გამოდიოდა. არა და მარტო მეზობლების გვცხვენოდა. ზოგი პირდაპირ ყურში მაგონებდა. კაცი არ უვარგა, ზოგი კიდევ თებრონიას აბრალებდა — უნაყოფო ქალიაო.

გარდა ამისა იგიც გვადარდებდა, რომ ჩვენი მეზობლები ყოველ შაბათს შუძენაზე კაი სამ თუმანს იღებდენ მთავრობიდან საჩუქარს; ისე კიდო ყოველ ოვეში შვიდ მანეთს რძის ფულს; კომპერატია ხომ კიდო უფრო გვიხეთქავდა გულს: ამ ახალ დაბადებულ ბავშს რას იტყვი რო არ აძლევდა.

მაინც ამ მთავრობისთანა მთავრობა არ მინახავს სწორედ. ყველაფერი უცნაური აგენმა უნდა გამოიგონონ. იყო წინად ნიკოლოზის და მერშევიკების მთავრობები, მარა ბოვშის დაბადების ფულს მოგცემდენ კი არა, თუ გინდა შენი ბოვში წყალში გადაგეგდო, იმისთვის იგინი არ გაგიჯავრდებოდენ. ამათ ხელში წყალში გადაგდო კი არა, უბრალო [illegible] რო მიაყენო, ვაი შენი [illegible].

რაღა სიტყვა გავაგრძელო, მაისს თავი კიდო არ ჰქონდა ამოყოფილი, რომ მოუწყვა ხელი და გოუშვი დაჩაზე. ისე ყველა ჩემ ნაცნობ უშვილო ქალებს ასრულებით ნატვრა, რავარც ჩვენ აგვისრულდა, ორი თვე არც კი იქნებოდა გასული, რომ მივიღე წერილი, რომელშიდაც მწერდა:

— „გეიბარე ჩემო სტრიფონ! აგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა. გუშინ ექიმს გავასინჯიე თავი და ასე მითხრა. ორსულად ხარო.

აპრუწუწუნ აწი ჩვენ მეზობლებს. ბა გაბედონ და გვითხრან — არ ვარგიხართო.

იმისანა გახარებული ვარ ჩემი თებრონიასაგან, რომე ზამთრის საკაპე 5 მეტრა ბამბაზია დამზადებული მაქვს მისთვის. ისე ბოვშის ტანსაცმელის დახვედრებაც მინდოდა, მარა არ ვიცი — გოგო იქნება თუ ბიჭი; ახლა სული მიმდის სანამ ენახავდე ჩემს თებრონიას მუცელ გამობერილს. მასახელა თავისი მაკადინობით, იმას ენაცვალოს მისი სტრიფონი ყრონტში და გულბოყვში.

ყოჩაღ ჩემო თებრონია, რომ დოუფსე მტერს თვალები!

კირილე საფირჩხიელი.

# ლევარსი როხროხაძე

როცა ლევარსის ძალზე გაუჭირდა სიცხისაგან ბარში, გადასწყვიტა რამდენიმე დღით ბაკურიანში წასვლა.

კინალამ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ლევარსი ახალ გამოგონებაზე მუშაობდა, სახელდობრ — ეგრედწოდებულ „ლევარსის ვენტილიატორზე", რომელმაც ზაფხულობით ქალაქისა და აგარაკის ჰაერი, ატმოსფერა ერთმანეთში უნდა არიოს და შეამზადოს სრულიად ახალი ჰავა ქალაქებისათვის.

ჰო-და, სიცხას გარდა, კიდევ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი ლევარსის აგარაკზე გამგზავრებისა, რომ იქ პრაქტიკულად გასცნობოდა ამ საკითხს. ერთი სიტყვით, ლევარსი ბორჯომიდან მატარებლით ბაკურიანისკენ მიემგზავრებოდა.

**თავი ფანჯარაში გამოეყო, პირი დიდზე დაეღო და ზორბად სუნთქავდა მთის ჰაერს.**

რამდენიმე დღე დარჩა ბაკურიანში. კარგად შეისწავლა თავისი გამოგონების ზოგიერთი მხარეები და შემდეგ გამომგზავრებას შეუდგა.

სადგურში, როცა ლევარსი მოვიდა, ყველას გაუკვირდა.

**მას რამდენიმე გაბერილი გუდა გადაეკიდა მხარზე და მოჰქონდა.**

— ღონე მაქვსო, მან უნდა სთქვას! ამდენი საქსე გუდები მოაქვს, ხედავთ?!—ამბობდენ მოქალაქეები და ლევარსის ათვალიერებდენ.

— მე ერთის წაღებაც გამიჭირდება! — სთქვა ვილაცამ და გუდის სიმძიმე მოსინჯა.

გუდა ჰაერში შეეარდა ხელის გაკარებისთანავე.

— ცარიელი ყოფილა ყველა გუდები!— დაიძახეს და ლევარსის სიცილი დააყარეს.

— რა გაცინებთ რომ იცინით!—გაჯავრდა ლევარსი, —თქვენ გგონიათ ეს გუდები ცარიელია?

— ცარიელია მაშ?

— ცარიელი კი არა, შიგ ბაკურიანის ჰაერია. ქალაქში მიმაქვს. როცა სიცხე მომაჭერს, მოვხსნი გუდას თავს, პირში ჩავიდებ და ბუცელში ვშთაებერავ რაც შიგ ბაკურიანის ციცი ჰაერია.

ლევარსის გამოანგარიშებით, ერთი საშუალო გუდა ბაკურიანის ჰაერი ტფილისში კაცს ჰყოფნის მთელი კვირის განმავლობაში.

საკურორტო სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს ლევარსისთან ამ გამოგონების შესყიდვის შესახებ.

**ზმუკი.**

---

# მოსმენილი

**ნავთლულის საქონლის სადგურში.**

შენ ბიჭო, მგონია ლექსკურსიაზე იყავი ბორჯომში? ჩემი ძამიე ნუ დამიმალავ და თავიდან ბოლომდი მომიყევი დანაგებულათ რა გაჩვენეს, რა გითხრეს, რა აგიხსნეს, და რა გაჭამეს.

— ჭმოვით არაფერი არ უჭმოვიათ. ნახვითაც არაფერი გვინახავს, საიმისოთ. იმის ოჯახი დეიწვა, ვინცხამ მე ლექსკურსიაზე წაშავება მირჩია.

მაშვინ ეტყობოდა იმ ჩვენ ლექსკურსიას სიკეთე, რომ ტფილისის სტანციაში არ იქნა ვეღარ მეიყარეთ თავი. დედალი ინდოურებივით დეიფანტეთ, ზოგი ბორჯომის მატარებელს გაჰყვა, ზოგი ბათომისას, ზოგი ქუთაისისას და ზოგი ფოთისას. მე ჰაწია ხელშემონახული ყაცი ვარ და რაცხა იღბლათ 5 გირვანქა პურის და ქალის გამოგზავნილი ერთი ჭყინტი ყველი ჩვიდევი აბგაში თვარა, თურმე შენი მტერია მე იქ ამბავი დამემართებოდა.

„არა შეგდა მწყერი ხვსა არა იყო ბედი მისი"-ო ისეე დაგვემართია, ძამიავ, ჩვენც.

ჩვენს ბედზე ჩამოშვავდა — ჩამოზვავდა და ჭი არ შეგვიკრა გზაი.

რავარც იყო მივეხახანეთ ღამის 11 საათზე ბორჯომში.

ვაი ამისთანა მისვლას. აღარც საჭმელი, აღარც სასმელი, აღარც სახურავი, აღარც საგები. ვაიმე ნენავ. გამილიტინე ახლა ვინცხამ ბლაგი დანა კისერში, არ მემართლებით თუ რაი! ღმერთი დააქცევს ჩვენს მეტსკომის ოჯახს, იმან მირჩია, იმან დამკლა კაკალი ყაცი. რა გასძლებს, ძამიავ, ახლა თელ ღამეს დოუძინებელი, დოუსვენარი?

რავარც იყო გავათენეთ თეთრათ. იგი ღამე. დილით გუდოკზე წამობტომას რომ ვარ დაჩვეული, ველარ შეეითმინე და გამოვედი ეზოში. ერთი შეეხედო — იგი სულწაწყმენდილი ნამესტნიკი მარტოათ ცხოვრობდა ნეტაი ამბელა ვარშიდამოში ?

რაც მართალია მართალია, ჯერ ცხოვრობდა თურმე იგი სულკატიანი და სხვა შენ იცი.

ვნახე მარა რა ვნახე. რა დვარეცი, რა მიდამო, რა ეზო, რა ბაბჩა, რა ვარდები, რა ფრინველები.

არა, ძმაო, ჩვენი მთავრობისანა მთავრობა ქვით უკეთესი. იმ ნამესტნიკის მგიერ ახლა ამ დვარეცში მუშები ცხოვრობენ, წინეთ ვინ გაიჭაჭანებდა მუშას მის ახლოს!

— საყვარია, წავიდეთ!

— წავიდეთ, ვიმუშაოთ, ქვეყანა ჩვენი ყოფილა და მე ეს კი არ ვიცოდი!

# ტფილისის ღღიურიდან

**კვირა,** ცოლშვილი აგარაკზე გავგზავნე ერთი თვით.

რაღა გიჭირს, აწი, ალერ აქ ვიყავი და ღამის პირველ საათზე არ მოდიოდი სახლში, აწი სულაც არ გაეკარები ოჯახს! — ასეთი საყვედურებით გამომემშვიდობა ცოლი მატარებელში.

მატარებელი დაიძრა და მეც ამოვისუნთქე.

---

**ოთხშაბათი.** ბეჭდავთა კლუბში დავაპირე შესვლა, კარებზე წავიკითხე: „შედი კლუბში და დაისვენე“. ამას რა სჯობია! (ჩემისთანა ზარმაცკაცისათვის განკუთრებით). შესასვლელ ბილეთში ათი შაური გადამახდევინეს.

— ამხანაგო, ათი შაური რა ამბავია! მუშისთვის ეს ძვირია.

— დღეს მუშებისთვის არ არის საღამო, სპეციალურია! —მიპასუხა მოლარემ და სიცხისაგან დასუსტებული თვალები, სიკვდილის პირზე მიმდგარ კაცივით მინაბა. (ასეთი „სპეციალური“ ფასები ხშირია თურმე აქ).

— მუშა მაინც არ შედის შიგ, ამხანაგო! — იხუმრა ვიღაცამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ წარმოდგენებს ათ საათზე იწყებენ და ორზე თავდება. მუშას კი ადრე უნდა მოსვენება.

---

კლუბის მესამე კარებში მჯდომი ქალი, რომელიც ქალალდის ფირფიტებს ყრის ყუთში, თვალებში შემაცქერდა.

— უკაცრავად, თქვენი სქესობრივი მდგომარეობა?

— დედაკაცი! — ხუმრობით ვუთხარი.

მე ვეხუმრე. მაგრამ მან დაიჯერა, რადგან წვერ-ულვაში ახალ გაპარსული მქონდა.

---

**სამშაბათი.** — რა კარგია დიდი ნდობა მომცა. — ვფიქრობ ჩემთვის, რომ ამ დროს წინ ამეტუზა წარწერა: **კოოპერატიული სახადილო „ნდობა“.**

აეშენა ღმერთმა ვინც ასეთი კოოპერატივი მოიგონა.

შევედი „ნდობა“-ში.

კედელზე სწერია:

**„მოქალაქენო! ზრდილობით მოეპყარით სახადილოს მსახურთ და ისინი უფრო ზრდილობიანად მოგეპყრობიან“.**

ასეთ ზრდილობიან წარწერამ მეტად დამატეხა. მეც ზრდილობიანად ჩანოვჯექ მოლარე ქალის ახლოს (რადგან სხვა მაგიდები თავისუფალი არ იყო):

— დიდათ პატივცემულო მოქალაქე, ბოდიშს ვიხდი, თუ შეიძლება ერთი ჩაი მომართვით. თუ ძალზე არ შეწუხდებით! — ვსთხოვე აფიციანტს. თან გულში ვფიქრობდი: — უზრდელად ხომ არაფერი მითქვამს-თქო. ასეთი სიტყვები ბევრი დავხარჯე, მაგრამ ჩემთვის ვისღა ეცალა, ყურს არავინ მიგდებდა.

რადგან რამდენიმე საათი ვიჯექი, მოლარე ქალთან ახლოს, მან რაღაც იგრძნო აიღო ჩემზე და ჩუმად გამგეს უთხრა: — ეს კაცი აქედან არ მიდის, სალაროს გატეხა ხომ არ უნდა?

გამგემ ხელად ჩემთან მოირბინა.

— თქვენ რა გნებავთ?

— რა მნებავს და... ორი საათი ვზივარ და ჩაის ველოდები; ყურადღებას კი არავინ მაქცევს. ეს რასა ჰგავს! — უხეშად მომივიდა, მაგრამ ამან უფრო გასჭრა, ხელად მომიტანეს ჩაი. ისიც ცივი. ასეთი ნდობა დამსახურა სასადილო „ნდობამ“.

**ოთხშაბათი.** ამ ბოლო დროს სასადილოებზე წარწერებს ძალზე მოხდენილად სწერენ ხოლმე: „ჩემს იქით ვერსად წახვალ“, „ხდობა“, „აპეტიტი“, „მოდი ჭამე“, „გემოვნება“ და სხვ. ამ წარწერებში მე ყველაზე უფრო მომწონს „გემოვნება“, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ნდობამ“ სასადილოზე ნდობა დამიკარგა. ისე მშიოდა—ნიავიც წამაქცევდა: შევედი „გემოვნებაში“. მომესმა ხარხარი, აურ-ზაური: „არ გაუშვა, ფეხებში ესროლე აგერ მეორე გამოხტა!“— გაიძახოდენ და ლუდების ბოთლებით მოსადილენი ვირთხებს დასდევდენ.

— მოიტა, ქალიშვილო, სადილი!

— საიდან იცით, რომ მე ქალიშვილი ვარ?

— ქალო, ასეთი გათხოვილი იყავ თუ გინდა, ოოონდ ჩქარა მომიტანე სადილი, სანამ თაგვი ფეხებს მომჭამდეს.

**ხუთშაბათი:** სიცხემ იმატა. გაჭირვებამ ფუნიკულიორზე ამიყვანა. რა ჩემი საქმეა ფუნიკულიორი, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ ეს ბერკოოპის ხელშიაო. საოცარია, ტფილისში ღვინო გავიდა ხმარებიდან, რაც კარგია, მაგრამ ფუნიკულიორზე კი ღვინის მეტს არაფერს ჰყიდიან. მართალია ყველაფერი ცივია, მაგრამ თახდათანობით ჯიბეც ცივდება.

„ორი ქოთანი გაიტეხე, ვაი, ვაი“, — ისმოდა აქა-იქ.

გასატეხი ქოთანი არ მქონია და ისევ დავეშვი უკან, რომ „ტარტაროზი“-სთვის ეს ამბები გამეგიზიარებინა.

**ივანიკა.**

---

# წყლის კრიზისი

(სოფ. **აგარაკი მაღარო**, კახეთი)

— რა გატირებს, გოგონა?

— დედა ჩემი გუშინ წავიდა წყალზე და ჯერ არ ღაბრუნებულა.

—ნუ გეშინია, შვილო, ხვალ ან ზეგ დაბრუნდება, მეორე კვეყანაში წყლის მოსატანად წასული!

# ᲐᲕᲐᲠᲐᲙᲖᲔ

— ადამიანს რომ შუბლზე რქები ამოსდიოდეს, ასეშვონია, შენს ქმარს ირმის რქები ამოუვიდოდა!
— ხა-ხა-ხა-ხა! რა საუცხოო შედარებაა!

## ვერის საგანაოზე

ყურებში მაზოლები გამიჩინეს — ვერის პარკში საბანაო გაიხსნაო.

— მზე, წყალი, მზის ვანები...

მოდი და ნუ მოიხიბლები მთელ ზაფხულზე ქალაქში დარჩენილი ადამიანი.

— : —

— საბანაოთ მიდის ხიფათზე ეტყობა — გადაულაპარაკა ერთმა მეორეს.

— წავიდეს, ბევრს მოიგებს: კაბეთის ჩურჩხელასავით ამოისვრება შიგ. — უთხრა მეორემ.

დასაწყისი არ მომეწონა.

როგორც იყო ტანისამოსი ჩავაბარე და ნომერი კისერზე ჩამოვიკიდე. ბანაობით სულ ათიოდე ბანაობდა, დანარჩენი ბადეს იჭით ქალებისაკენ იცქერებოდენ.

— ნუ თუ სულ ასე დგანან ესენი?

— დიახ, დილას აქეთ აქ არიან და ჯერ ბადეს არ მოსცილებიან.

— როგორ თუ დილას აქეთ. სულ ბანაობენ?

— მაშ ფული რისთვის გადაიხადეს?

მობანავეთა რიცხვს სპარბობდა და ცურვაში სჯობნიდა ხის ნაფოტები, ფიჩხები, ბოთლის საცობები, წუმწუმის კოლოფები და პაპიროსის ნამწვავები.

დავაპირე უკან წასვლა, მაგრამ სამი შაური (ბილეთში გადახდილი ფული) დამენანა.

ჩავედი წყალში. ცურვა მაინც და მაინც არ ვიცი.(არც სხვებმა იცოდენ; ყველა ჩემებრ აცოდვილებდა ხელებსა და ფეხებს).

ყურთან ყიყინი მომესმა და ვილაცამ ცივი ხელი მკლავში წამავლო. მოვიხედე, ჩემს გვერდით მოზრდილი ბაყაყი მოსცურავდა.

— მე გასწავლი ცურვას! — მითხრა ბაყაყმა.

— შენ საიდან გაჩნდი აქ? — შეშეკითხე გაოცებით.

— მადათოვის კუნძულიდან. იქ ბაჭრობის სახლის აგებას აპირობენ, ალარ გვედგომებოდა და აქ გადმოვსახლდით. იმედი მაქვს ამ ზაფხულს ყარგად გავატარებ. შვიდი დღეა, რაც ეს აუზი არ გაწმენდილა და მე ჯერ კიდევ დიდხანს არ გაიწმინდება. მანამდე ზამთარიც დადგება, ზამთარში კი ბანაობისთვის ვილას სცხელა.

ბადესთან ხმაური ისმოდა. ჩამოგლეჯილ და ჩამოკონკილ ბადეს დაჰკიდებოდა ოთხი ვაჟი და ქალებს უყვიროდენ:

— მოგვეცით კასრი თორემ შეგოსცურავთ.

## სიმონ ბაბლიძე

### ლანჩხუთი

**აქეთ ვიოსკა წიხლსა ვკრავ, —**
**ყველას დავმართებ ბნედასა...**
**იქ ფოსტის გამგეს ვეცემი**
**და შეუკურთხებ დედასა.**

---

— რა კასრი უნდათ? — შევეკითხე შეზობელს.

— აი, ის კასრი; განგებ ქალებში შეაცურეს, რომ თვითონაც შეცურდენ ამ მზეზით.

— მილიციონერი სად არის? რას აკეთებს?

— აი, იქ ვერ ხედავ, როგორ გულიანად ხარხარებს?!

ამოვედი აუზიდან.

აქედან პირდაპირ ყოფ. ორბელიანის აბანოსაკენ გავუდექი გზას ტანის დასაბანად.

**გურგელი.**

## სააგარაკო არაკი

თებერვალი იყო, როცა ცოლმა მითხრა: — თავი მტკივა. დამდეგ მარტში უკვე იგი წელის ტკივილს შემომჩივა.

მიკვირს წელი რად ატკივდა, არ სჭერია ხელში თოხი. უქნარაა და მაინც სწუხს, გამოჭედა სახლი ოხვრით.

დავამშვიდე: — ჩემო კარგო, არ შეშინდე გენაცვალე, დალევ წამალს, თავს მოუვლი, წამოდგები ფეხზე მალე.

— : —

შემდეგ კვირას აქვითინდა:
—მომიჩქარა გულის ძგერამ,
თუ კი დროზე არ მიშველე,
შოგიკვდები, რათ არ გეჯერა!

— რა გიშველო, რა გიხერხო,
გულის ძგერა რის ვაბრალო,
როცა იგი ტრფობას ნიშნავს,
მეც მიხტუნავს გული, ქალო!

— ჩემო ბიჭო, ჩემო ხვითო,
ჩემი თავი დაიფასე
ხომ უყურებ, — როგორ გაცხდი,
მაკარონს რომ დავემსგავსე?

— გიყურებ და მზერად ვდები,
მაკარონის რა გემჩნევა?—
დაიკივლა ნერვიულად,
სადაც არის წაიქცევა.

მივეშველე, ხელი ვსტაცე,
და ვუთხარი: — ეხლა მჯერა,
ავად უნდა იყო მგონი,
(დაგიფაროს ბედის წერამ).

— რა მგონი და რის მომგონი?!
ავათა ვარ, დაიჯერე,
ცოცხალი ვარ, არ მაფასებ,—
თუ მოკვდი, რას იზამ მერე?

— რას ვიზამ და, თავს მოვიკლავ,
თავს მოვიკლავ შენთვის, ვფიცავ!
თუ შენს გარდა სხვა შევირთო,
ვემეთხაროს დედამიწა.

—ჰო და ასე არ სჯობია
ორივ ცოცხლად ვიყოთ, ბიჭო?
შევიმატებ აგარაკზე,..
დავბრუნდები... ვიშიკჭიკოთ.

— სხვა საშველი ალარ არის,
საჭიროა აგარაკი.

— ჩემო კარგო, ავათ ხარ და
ვაწყენს ბევრი ლაპარაკი.

— : —

და წავიდა აგარაკზე...
მე დამტოვა სახლში ობლათ.
მიგზავნიდა წერილს ხშირად
და მითვლიდა ფულებს ბლომათ.

— მოგიმატე, — ხშირად მწერდა,
თითქოს იყო მასზე ხარბათ,
რომ ოთხ თვეში იმდენი ქნა
ხუთ ფუთსაც კი წააჭარბა.

გასუქდება, მა რას იზამს
კარაქის და კვერცხის ხვრეპით.
მე ვიკითხო — აქ, რომ ვკვდები
ლობიოს და ტყემლის თქვლეფით.

**ბახჩო.**

## მეგობრული შარჟი

ჩვენი თანამშრომელი „ნიანგი“ საბაგარაკოთ ქოგულეთში.

## სამწუხარო სიხარული

— ყველა ჩვენები გასწერეს გაზეთში და შენ გიხარია?

— **რატომ არ უნდა მიხაროდეს! მე მეგონა, მეფის ერთგული ხალხი სულ ცოტა-ღა თუ იყო დარჩენილი... თურმე, ხედავ რამდენი ყოფილა რკინის გზაზე მოკალათებული?!**

**გამოვიდა და ყველგან იყიდება**

**ნიანგის**

**„კუზიანთა პოლიტიკა“**

**„ყუმბარას“**

**„წითელი ბოლოკი“**

# კოლექტივი ბრჭყალებში

წერილის სათაური თითქოს ორაზროვანია.

პირველი — **კოლექტივი ბრჭყალებში,** ანუ ასე- „კოლექტივი“ (სიტყვა კოლექტივი ჩასმულია ბრჭყალებში).

მეორე — **კოლექტივი ბრჭყალებში,** ესე იგი კოლექტივი ციღაცას ბრჭყალებშია (ანუ კლანჭებში).

ამ ჩვენს შემთხვევაში სულერთია წერილის სათაურს რომელ აზრითაც გავიგებთ, ორივე შესაფერისი და ზედგომარეობის დამახასიათებელი იქნება.

—:—

როდესაც გომში (სამტრედიის რაიონი) ფლეხობა აღტაცებით ხვდებოდა კოლექტივიზაციის გამოცხადებასა, ზოგიერთებს ყურები ჩამოჰყროდათ, ცხვირება ძირს ჩამოეშვათ და სასოწარკვეთილებას მისცემოდენ.

— ჩვენი წარსულის მქონეს, ვინ მიგვიღებს კოლექტივში!? — ამბობდენ ასინი.

გამოსავალი თითქოს არსაიდან იყო.

— ნუ გეშინიათ, ბიჭო!—გაისმა უცბად ლავრენტის ხმა.

ყველამ მას შეხედა. ლავრენტიმ კი დაიწყო:

— მართალია, კოლექტივის წინააღმდეგ ვართ ჩვენ, მაგრამ რა გაეწყობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგიც კი ვიყავით, მაგრამ ვერაფერს გავხდით... ჰო-და, იმას ვამბობდი ამხანაგებო, რომ, ავდგეთ და თვითონ ჩვენ დავაარსოთ კოლექტივი. როდესაც ინიციატივას ჩვენ ავიღებთ ხელში, შენდეგ პატიოსანი ხალხიც შემოგვიერთდება თითო-ოროლა და, ამგვარად, კოლექტივს თავს შევაფარებთ!

— ძველია, ძველი; იცის ხერხი!— წამოიძახა აღტაცებთ ი. ნიკოლეიშვილმა.

1915-16-17 წლებში სპეკულაანტობ-კონტრაბანდისტობდა და რატომაც არ იქნება „გამოსუქინსინებული“!—დაუმატა ს. ზაქრაძემ.

— შეადეგშიაც არ ყოფილა ცუდი ბიჭი: 1918-19-20 წლებში იყო მენშევიკების „სტრაფენიკად“, ბევრს აბლაც აჩნია მისი მათრახის ასლი!— შეაქო გ. თევზაძემ.

— ნლევრია წყალში თევზის დაჭერა შენაც ძალიან გიყვარდა და გეხერხებოდა მენშევიკების დროს და, მგონი, არც ეხლა აკლებ ხელს! — უთხრა თევზაძეს გ. სულაქველიძემ.

— ამხანაგებო, აქ ყველა ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები ვართ. თუ გ. სულაქველიძე ნევზაზე იყო, არც მე ვყოფილვარ მახზე უარესი ბიჭი. თუ თავისთავის ქებაზე წავიდა საქმე, სად არის ჩემი 18 წლის „სტრაფენიკობის“ სტაჟი?—გაცხარდა თ. ნიშნიანიძე.

— ნუ ცხარობთ, ამხანაგებო,— დაიწყო ისევ ლავრენტიმ, — აკი ვსთქვი, რომ ჩვენ ყველა კაი ბიჭები ვართ. დავაარსოთ „კოლექტივი“, მორჩა და გათავდა, თავმჯდომარეობას მე გავსწევ...

დაარსდა „კოლექტივი“,

სხვებიც ჩაეწერენ შიგ.

კოლექტივის აქტიურმა წევრებმა ხმა ამოიღეს ასეთ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

— როგორ? თქვენ „სხვის მონასტერში თავისი ქუდით შედიხართ!“— გაცხარდა კოლექტივის თავმჯდომარე ლავრენტი. — არავითარი თვითკრიტიკა!— დაუმატა მან და კოლექტივის წევრთა შორის ხაზი გაუსვა ვ. ნადირაძეს და შ. ნიშნიანიძეს.

— ასე ეკადრებათ... ყოჩაღ ლავრენტი!— ჩაილაპარაკეს ლავრენტის ამქრებმა და სხვების დასაშინებლად ხნამალლა დაუმატეს:— ასე მოელის ყველას, ვინც კოლექტივისათვის ძირის გამოთხრას მოინდომებს!

კარგი იქნებოდა, **რომ ეს მათი სიტყვები მათზე** ასრულდებოდეს.

**რან-ტან-ტან.**




### რაუდენი ძველი ჩარჩია მეძროთამეობა არჩია.

„ნატახტარის ახალ წყალსადენის სამუშაოებზე უფროს მუშად მოგვეგზავნა ყოფილი ვაჭარი რაუდენ ორთამაშვილი, რომელიც თავის ხელქვეით მუშებისაგან ღებულობს ჭრთამებს—ნატურით, ახდევინებს მათ „მღარაჩებს“ და ახარჯვინებს აღებულ ხელფასს“.

მცოდნე.

სადაც შენდება ნატახტარი, იქ უფროს მუშად არის „გადამხტარი“ ძველი ჩარჩი რაუდენი, რომელსაც ბევრი ოინი აქვს თავს გადამხდარი. მაგრამ ოინებს ეხლა თვითონ აწყობს, ეუშებს რომ სამუშაოზე აწყობს, მათ ხარჯზე ქეიფებს აცხობს და სცანცლავს მათ ნაოფლარ ფარას, ჭკრეკს მუშებს, როგორც ცხვრის ფარას. თუ ვინმემ გამოიჩინა სითამამე და რაუდენს არ მისცა ქრთამი, მაშინ საქმე ისე მოეგარაჯდება, რომ ის მუშა სამუშაოს გამოაკლდება და მშიერი ჩაკვდება. ამიტომ რაუდენს გზა მუდამ ხსნილია, მოერთმევა კვარტი, ვარია თუ წიწილია და ისიც, როგორც „საწყალი კაცი“ ამ „მცირეზეც“ კმაყოფილია.

მაგრამ საკითხავია, ეს ჩარჩი რაუდენი, ხანია რამდენი, რაც მობრძანდა ხათარეშოდ და ჭკრებს ყველასგან საფარეშოს?—სად არის მუშკომი და ადმინისტრაცია, რომ კბილი გაუშინჯონ თუ რა კაცია და კინწის კვრით იფრინონ ნატახტარიდან ისე, რომ გზაში მღეროდეს „დარდან“-ს?..

### მსხილაძის ვაუი ილია ყვლეფაში გამოქცილია

„სად. სოკეევახოს რკ. გზის ლიანდაგის მე-8 საოსტატოს მეარტელე ილია მსხილაძე უხეშად არღვევს შრომის კანონებს, საათის ვითომდა „უპონლობის“ მიზეზით მუშებს ზედმეტს ამუშავებს უხელფასოდ, ატყუებს მათ ანგარიშში და ემუქრება მათ დაითხოვნით“.

ლენინელი.

თუ მსხილაძე უდიერია, აქ გასაკვირი არაფერია, რადგან რკინის გზაზე ჯერ კიდევ ბევრია აქვს საფარი, რომელიც „ეამსა მას“ ეყო ჩაფარი, ან ნაცვალის ჭონდა ფაფარი და დღეს, როდესაც მუშათა „უფროსად“ გახდა მთლად გაიხარწნა და წახდა, ე.ი. გაახსენდა ძველი დროება, როცა მის ხელთ ეყო საწყთროება და ჩყვლეფდა სხვის შრომას, ახარხებდა მათ ზურგზე ჯდომას და ძღომას. ასეთია მსხილაძე ილია, მან კიდევ ვერ გამოიღია ეს ძველი „რჯულები“ და რომ მუშებს დასცინცლის ფულები მიმართავს ნაცად ადათებს, ჭპარავს მათ კვირეებს და შაბათებს, ან დღიურ ზედმეტ საათებს. ვიკითხოთ — სად მიდის ეგი ფარები, რაც ილიას მუშებისგან აქვს მონაპარები? რა თქმა უნდა, მის ჯიბესა შინ, რომ წაიღოს შემდეგ შინა და სტომაკში მისცეს ბინა. მაგრამ აწ კმარა მისი თარეში „საჯეევახოს მხარეში“ თავს წავადგეთ როგორც ფარეში და ჩანგლის წვერზე ავაგოთ ვით მძორი და ლეში.

### ძველმ ვაჭარმ ანანოვ, რატომ გსურს ბედი გვანანოს?

„სად. გარდაბანში „ზაკტპოს“ № 76 ფარდულის გამგე, ძველი ვაჭარი ანანოვი ატყუებს მუშებს, უხეშად ეპყრობა მომხმარებლებს და ტრიდო ვაჭრებზე ჭყიდის მუშებისათვის კუთვნილ დეფიციტიან საქონელს

გარდაბნელი.

ესეც „ყოფილი ფრინველია“, ნაკაცარია, ძველია, ვაჭრობაში ჭიპი აქვს მოჭრილი და თუ დღეს გარდაბანშია გადმოჭრილი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს—თითქოს მასზედ რამ „ცუდი უნდა ითქოს“. რა ვუყოთ თუ მუშებს უხეშად ეპყრობა და თავის ჭამეარ ჩარჩებს ემხრობა? რა ვუყოთ, რომ მუშებს უმალავს საქონელს და მას აწვდის სპეკულიანტებს (ტფილისის და არა ხონელს), რა ვუყოთ, რომ კოოპერაცია მას ისე ესმის, რომ უნდა გაართვას გნაცია. ერთის სიტყვით, რა ვუყოთ, რომ ანანოვი ისეთი კაცია, რომელსაც უყვარს მრავალი კომბინაცია და რომელსაც ადგილი უნდა ჭქონდეს არა იქ, სადაც კოოპერაცია, არამედ იქ, სადაც ზის მრავალი მავნე... ეხლა კი, რაზან გავამყლავენ ანანოვის საქმენი საგმირონი, უკვე დადგენ დრონი, რომ ნიჩაბს წაუსვამ ქონი და ანანოვი ვიხროლოთ ისე, რომ ვერ ნახოს ფონი.

### ძალათ მაცხოვნე „სპეციალ“ როგორი ჯიშის მხეცია?

„სად. გურჯაანს ტფილისის სამასალო საწყობიდან ვილაც „ბაბუას“ წყალობით გაუგზავნეს ვინმე სანდლერი, როგორც სპეციალ ნავთსაჭაში მემანქანის თანამდებობაზე სამუშაოდ. გამოირკვა, რომ სანდლერს მემანქანეობისა სრულებით არაფერი გაეგება.

დაუნდობელი.

„ამბავი ესე“ თარსული
არ რთულად ნაგვახირევი,
გურჯაანს მოხდა, გავიგე
და გაოცებით ვირევი.
ერთ დღეს მოფრინდა ტფილისი
სანდლერი როგორც „სპეცია“,
ჰორთფელს ჩაედო ბარათი—
შუაზე განაკეცია,
სთქვა: ეს „ბაბუას მოკითხვა“
მე კრძალვით გადმოგეცია.
მე და სპეცობა შორსა ვართ,
ვით ორი შორი პლანეტა,—
სამაგიეროდ მიცნობენ
ნინა, კატო და ანეტა,
ამიტომ ნუდარ „ეგ“-ვნებთ
დამნიშნეთ მემანქანეთა...“
იგი დიახაც „დაიშნეს“
არ ჩაიდინეს ბეცობა, —
თქმულა „თუ გული გულობდეს“
ძმელი არ არის სპეცობა,—
მაგრამ ეს ემცნო ტარტაროზს,
შეიტყო მათი მხეცობა—
და სანდლერ მისი „ბაბუით“
ჩანგალზე წამოეცობა

— ჰოვ, ხუსეინა, სახელი ჩვენია, სახრავი კი ყოფილ ვაჭრების.

# საიდუმლო ანკეტა

„პოხმელია“-ს შემდეგ კირილე წიგნიაძე ყარგ ხასიათზე იყო.

— ქუთაისში, რომ ბურთი და მოედანი ჩემია, ნუ თუ მართლაც ასეთი კაი ბიჭი ვარ?! მოდი ერთი და, ანკეტას გულ-ახდილად შევავსებ.—გაიფიქრა [illegible]ლემ.

და ანკეტა ასე გამოვიდა.

— ვინაობა?

— კირილე ერისთავის ძე წიგნიაძე.

— რა კაცი იყავ თვითმპყრობელობის დროს?

— ვძსახურობდი ვახმისტრად ნიკოლოზის მოხალისეთა ჯარში.

— დროებითი მთავრობის დროს?

— „დიკაია დივიზიაში“ ოფიცრად

— მეწშეიკების დროს?

— გვარდიის ოფიცერი გახლდი.

— გასაბჭოების შემდეგ?

— ვხელმძღვანელობდი რაზმს, რომელიც-აც ესწრდი „მკვდარ სულებს“ და მათ „პაიოკს“ მე ვღებულობდი. ამის გამო მდგომარეობა შემარყა და ვამჯობინე ტფილისში მოწყობა.

— რამდენხანს დარჩით ტფილისში?

— ცოტა ხანს, რადგან ჩემი ხრიკები და ორინები იქ ვერაფერში გამოვიყენე.

— 1924 წელ„ „აჯანყების“ დროს რას აკეთებდით?

— წაზღვარ-გარედ გავაპარე ჩემი ძმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა.

— სად მუშაობდით შემდეგ?

— რკ. გზ. მცველთა რაზმის უფროსად.

— მაშინდელი თქვენი მოღვაწეობა?

— ათ-ათი მანეთი დავსტყუე თანამშრომლებს სასადილოს მოწყობისათვის და სასადილო [illegible]ეცი ნათესავ ბაღათურიას.

— რატომ გადადით აქედან მილიციაში?

— იმიტომ, რომ პანღური მკრეს.

— მილიციაში?

— იქაც პანღური მკრეს, რადგან დავიწყე ჩემი ორინები

ერთ დღეს გამომიცხადეს, რომ გამსახლში იგზავნებიო. თმა ყალყზე დამიდგა. ვიფიქრე:—ეს არის დაესვა ჯვარი ჩემს „მოღვაწეობას“ და თავი ციხეში „ბატუციის“-მეთქი. ოას ვიზამ, ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც იქ უნდა მოვხდე! დეე, ეხლა იყოს!—ვფიქრობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ შაპატიმრებდენ ყველა ძველ ცოდვებისათვის.

თუ[illegible]ძე საქმე არ გაქვს?! გამსახლში უფრ[illegible] [illegible]ე გამგზავნეს.

— თქვენი შეხედულება გამსახლ'ძი თქვენს მუშაობაზე?

— საუკეთო. ძოდიოდა და ძოდიოდა ძღვენი. მემამულეები ბევრი მყავდა დატუსაღ[illegible]ული და გიყვარდეს ფეშქეშები.

— რას იტყვით ბანდიტების გაქცევის შესახებ?

— ოთხი ბანდიტი გახგებ გავატანე ერთ ზ[illegible]დამხედველს. მოსახვევში გაარტყეს ყბაში და გაიქცენ, თავს უშველეს. შემდეგ ერთი კიდევ მე ვავარტყი ზედამხედველს—რატომ გაგეჭკა ერთ კაცს ოთხი ბანდიტი-მეთქი და ამით გათავდა საქმე.

— თქვენი დამოკიდებულება ადგილკომთან და თანამშრომლებთან?

— რა მაქვს მათთან მე საერთო? მათი დედის შვილია და რომელიმემ რამე გამიბედოს.

— ტუსაღებთან?

— ტუსაღებთან ცუდი, მაგრამ საშაგიეროთ, მათ ცოლებთან—კარგი.

— როგორ უცქერი კედლის გაზეთს?

— რას ვუცქერი, როცა ჩამოვხიე კედლიდან, რადგან შიგ ჩემი ქება არ იყო (თუმცალა არც გინება იყო, მაგრამ გინებას ვინ გაბედავდა).

თქვენი ფინანსიური მდგომარეობა?

— რა უქრის, კარგია ფული პროცენტებში მაქვს გასესხებული.

— რა ამბავი გქონდათ სოფელში წისქვილის შესახებ?

— ძღინარე, რომელიც წისქვილს ამუშავებს, გადის ჩემი ცოლის მამულში. გლეხებმა ცოლი წისქვილის ნაწილში არ შეიყვანეს .მაგრამ როცა დავიბარე და დაველუქრე, რას იზამდენ, გაუნაწილ[illegible]

— თქვენი ბინის მორთულობა?

— ძველი თავადური. ყოველნაირი იარაღი ამშვენებს კედელს.

— თქვენი ქველმოქმედება?

— ვეხმარები და ვაწყობ სამსახურში მოყვრებს, ნათესავებს და ძმა-ბიჭებს.

— დაგვისახელეთ რომელიმე მაგალითი?

— გიორგი ცირეკიძე მოვაწყვე ქუთაისის ბაღ-ბოსტანში“, სადაც მეც უნდა გადავსულ[illegible]ყავ გამგედ. (ის წინასწარ მივავლინე).

— მისი სპეციალობა?

— დახელოვნებული კომბინატორი.

— სად მსახურობთ ეხლა?

— ა.-ქ. ბაღ-ბოსტნეულის ქუთაისის განყოფილების გამგეთ გახლავარ.

— როგორ გადიხარ ყოველ საქმეში ფონს?

— პურმარილით.

— რა სიმღერა იცით?

— სიმღერა ბევრი ვიცი, მაგრამ ჩემი საყვარელი სიმღერაა:

წიგნიაძე ვარ კირილე,
„პოლიტგრამოტა“ არ ვიცი...
ხულ მუქთად ხელში ჩავიგდე
გამსახლის ცხენი და კვიცი.

—:—

კირილემ შეავსო ეს ანკეტა და გადაიკითხა.

კითხვის დროს მის სახეს ღიმილი არ მოშორებია.

— მართლაც კაი ბიჭი ეყოფილვარ, თორემ განა ამას ვინ შესძლებდა!—ამაყოდ[illegible]ილებით ჩაილაპარაკა კირილემ და ის იყო ანკეტა უნდა დაებია, რომ ჭალალდი ხელიდან გაუფრინდა. ტარტაროზის უჩინარმა ხელმა ანკეტა გამოსტაცა.

კირილეს შეუქნია ეს მისი საიდუმლო ანკეტა „ტარტაროზი“-დან გადაწერილ[illegible] [illegible] გადაწერილი დაბეჭდოს. სხვა საშუალება არ არსებობს საიდუმლო ანკეტის მოსაპოვებ[illegible]

**უცნობი.**

# რუსული იუმორი

— რაო? ჩვენს მალაზიას დაეცენ გათენებისას?

— ნუ თუ მსუბუქი კავალერია? ა? რაო?



— მუშკორთა ბრი...ბრი... ბრიგადა? არა? აბა?!.

— შე კაი კაცო, ასე იტყოდი თავიდან, რომ დაეცენ და ფული გაიტაცეს-თქო. კინალამ გული გამიხეთქე შიშისაგან. მადლობა ღმერთს მშვიდობა ყოფილა!

— გამომაგდეს, როგორც ყოფილი.. და მერე ვინ!?. თვითონ ყოფილებმა.. ჩემმა ყოფილმა მოჯამაგირეებმა!

— აბა, დავსცხოთ, თორემ თორმეტი საათის შემდეგ „ბავშთა კვირა“ იწყება და გალახვის ნება აღარ გვექნება!

# შეჯიბრი გაფლანგვაში (ტყიბული)

**სილია:**—გამარჯობა ნიკიფორე, რაშობი? როგორ ხომ? ხომ არ შეშინდი, კაცო?

**ნიკიფორე:**—არა, ჩემო სილოვან, მაგრამ ამას ვდარდობ, რომ ესლა გამსახლში ყოფნა—სიკვდილია.

**სილია:**—გამსახლში ყოფნა არაფერია, მაგრამ, რომ გაწყრეს ღმერთი და ჭონება აგვიწეროს გაფლანგულ თანხის დასაფარავად, რალა გვეშველება!?.

**ნიკიფორე:** — რამ გადაგრია, ბიჭო! მე რაც პასუხისგებაში ვარ მიცემული, მას შემდეგ აგერ ექვსი თვე გადის და არავის არაფერი არ უქნია. ჩამოგდებენ გამსახლში და, ერთი თვის შემდეგ ქე გამონიშობენ.

**სილია:**—მაშ, მე ერთი თვის შემდეგ გამოვალ გამსახლიდან?!

**ნიკიფორე:** — შენ რა გაქვს ბრალდება?

**სილია:** — მე დამიმტკიცდა, რომ 5 წლის განმავლობაში კოოპერატივის საქონელს ვყიდდი ვაჭრებზე და გამიგეს მაგ ოჯახ დასაქცევებმა.

**ნიკიფორე:**—სწორეთ ასეთი იყო ჩემი ბრალდებაც, მაგრამ მე საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვა დამიმტკიცეს.

**სილია:**—მე იმას ვდარდობ, რომ მეორე სახლის წამოწყება მინდოდა, კაცო, და ხელი შემეშალა.

**ნიკიფორე:**— დაანებე თავი, კაცო, მეორეს, ეს სახლები შეგვრჩეს, რომლებიც შეგვრჩა და მეორე რათ მინდა. მე უკვე გაჭირავებული მაქვს და იმაზე მეტს შემოსავალს მაძლევს, რასაც ჩემი ჯამაგირი უდრიდა.

**სილია:**—საშმული როგორია ვამსახლში?

**ნიკიფორე:** — ცუდია გამფლანგველებისათვის.

**სილია:**— მე ასე ვიტყვი— პოლიტიკური ჰატიმარი ვარ-თქვა.

**ნიკიფორე:**— ბიჭო, შენ გასულელებულხარ კიდეც, შენი ბრალდებები შენვე გამოგყვება ზურგზე დაკრული გამსახლში.

**სილია:**—მერე-და რა პურმარილს ვაყაჯი, კაცო, შეჩვეული!

**ნიკიფორე:**—არაუშავს, ხომ იცი იმერული ძველი სიმღერა: „აუჩელა საჩეჩელა, რასაც შესჭამ ის შეგრჩება“. შეგვრჩა ის, რაც ვსჭამეთ.

**სილია:**—არა მაინც მის შემდეგ მე და შენ ვეღარ გავიხარეთ, რაც ჩუშა გიორგი ძოწენიძე გამგეობის თავმჯდომარეთ დაინიშნა.

**ნიკიფორე:** —მეიცა, კაცო, ჩვენი ძმები იმასაც მალე ჩააგდებენ, რადგან მათ ძალზე დაენდო ის საწყალი.

**სილია:**— მე განსაკუთრებით იმას ვდარდობ, რომ ჩემი ცოლი ახალ დაკლულ ძროხის ხორცის მწვადებს იყო მიჩვეული და ეხლა კი შემოაკლდება.

**ნიკიფორე:**— რა შემოაკლებს, კაცო? ვაჭრები, რომლებსაც შენ უწყობდი ხელს, ყველანი მოეხმარებიან და ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ.

**სილია:** — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ორში „სოცშეჯიბრში“ ერთმანეთს რომელმა ვაჯობეთ?

— მე გაჯობე!

— არა, მე გაჯობე!

ჩვენ კი მგონია, რომ ამას პროკურორი და სასამართლო გამოარკვევს.

ოკრიბელი.

# ᲒᲝᲚᲓᲝᲠᲘ

**ᲨᲘ-ᲒᲝᲚᲘᲡ“.** გვწერთ, რომ ცოლი ბახმაროზე გავგზავნე საგვარაკოთ და ერთხელ როცა ვესტუმრე:

**ხმა არ გამცა. ცოლი თურმე ფინაზე**
**იწვებოდა ტრფობის ციცხლის ალშია.**
**ვერ ვნახე და გავემგზავრე ბინაზე,**
**ელნათური ჩამქრალიყო სახლშია.**

აშკარად სჩანს, რომ თქვენს ცოლს ცილს სწამებთ: როდის იყო ბახმაროში ელექტრო-განათება? სჩანს ჯერ თქვენ არც კი გინახავთ ბახმარო.

**ᲛᲐᲭᲐᲠᲡ** (სოფ. დიმი). კიდევ იოლად დამთავრებული საქმე, თუ—„სამი სიცოცხლის“ გასამართლების დროს ერთმანეთს ცხვირპირი დაუმტვრიეს დამცველმა, ბრალმდებელმა და მოსამართლემ. ბრძოლის ველზე დარჩა გატეხილი სამი თავი და ერთი საწყალი დოქიო.

დოქის გატეხა კი არის საწყენი; თავების — რა მოგახსენოთ.

**ᲝᲠᲘᲐᲜᲡ** (ქუთაისი). გვატყობინებთ, რომ „მიშა ხიდავამ გახსნა კურსები, სადაც ისწავლება: თავისივე მოწაფე ქალებში არშიყობა, ხულიგნობისათვის მილიციის საკანში ჯდომა, გინება (მრავალ ენებზე), კონტრაბანდისტთა მფარველობა და სხვ.

## ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ

### ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ



— ღვთისმშობლის მადლმა, ასი ცალი ქათმები ყველა ცხრა აბაზად გავყიდე.

— კაი შენ დაგემართება, კაი მადლი იმას-ღა ჰქონდეს, — ღვთისმშობლის ეკლესიაში კოლექტივს ძნები უდგას.

**ᲡᲔᲥᲝᲜᲡ** (სამტრედია). თქვენი „წერილი სატრფოსადმი“ გოდორში გადავგზავნეთ, რადგან თქვენი სატრფოს მისამართს არ გვატყობინებდათ, რომ მისთვის გადაგვეგზავნა.

რატომ მისამართს არ ვატყობინებთ, რომ გაბიმძიებელმა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ.

**ᲡᲣᲤᲡᲔᲚᲡ** (სუფსა). „ტარტაროზი“ გიგზავნეთ რამდენიმე ცოცხს თანახმად თქვენი მოთხოვნილებისა „ინვალიდთა“ წითელ სასადილოს გასახვეტად.

**ᲐᲠᲩᲘᲚᲡ** (აქვე). თქვენ ლექსში ერთი ასეთი ადგილია:

**მივდიოდი ქუჩაში....**
**ეს რა საკითხავია.**
**ამდენ აურ-ზაურში**
**დამეკარგა თავია.**

რაკი ქუდი არ გხურებიათ თავზე, ზარალი უწნიშვნელოა.

**ᲝᲖᲔᲠᲡ** (ხევი, ოზურგ. მაზრა). ჩვენ გვგონია საკმარისია აღბახკომის დადგენილება:

**„ვინაიდან სამკითხველოში ანდრია გაზეთებს მაინც არ აყენებს და სასადილოში მიაქვს ხელის საწმენდათ, ამიტომ სამკითხველო გადაკეთდეს თავშესაფარად, სადაც ღლისით ადგილობრივი „ძმა-ბიჭები“ იქეიფებენ, ხოლო საღამოობით უპატრონო თხები გაითევენ ღამეს“.**

გადაწყვეტილებაზე ეფრო სამარცხვინო იქნება, თუ გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს.

რაც შეეხება იმას, რომ სერგო მაღალაძე თავის გვარს ამართლებს — მაღლაყინწასავით დადის და სალამის მიცემას არ კადრულობსო, — ეს არ არის ისეთი დიდი ცოდვა, რომ ის „ტარტაროზ“-ში მოვათავსოთ... მაგრამ, აა, — მას რომ კედლის გაზეთი ჩამოუტეხია, ამ შემთხვევაში მას ვერც მაღლისებური აპპარტაცნობა უშველის და ვერც ინდაურისებური გაბერვა.

ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები უარს აცხადებენ სამუშაოდ სოფელში წასვლაზე.

Библиотека-Музей имени Академии наук

— ვაი, რა უბედურება დაგვატყდა თავს, სოფელში გამგზავნეს სამუშაოდ.

გაზეთების გამომცემლობა სტამბა „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.